ხაშურის მოამბე

№33(357) 5 სექტემბერი, ორშაბათი, 2022 წელი

მიხეილ შაყულაშვილი სოფელ ცოცხნარას მოსახლეობას შეხვდა

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მიხეილ შაყულაშვილი ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცოცხნარაში ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა. სახელმწიფო რწმუნებულის თქმით, მოსახლეობასთან პირდაპირი კომუნიკაცია კარგი საშუალებაა სამომავლო პროექტების სწორად და მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით დასაგეგმად. „ვაგრძელებ შეხვედრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან. მინდა, რომ პირადად მოვისმინო მათი საჭიროებები, სოფლისთვის მნიშვნელოვანი საკითხები და ერთობლივად ვიმსჯელოთ გადაჭრის გზებზე“- აღნიშნა სახელმწიფო რწმუნებულმა. მიხეილ შაყულაშვილმა მოსახლოებას სამომავლო გეგმები და პროექტები გააცნო.

სახელმწიფო რწმუნებული ხაშურის მუნიციპალიტეტის მერთან თენგიზ ჩიტიაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად, ასევე, სოფელ ცოცხნარაში მისასვლელი გზის სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ასფალტის საფარის დაგება, მილ-ხიდებისა და სანიაღვრეების მოწყობა. გარდა ამისა, განთავდება საგზაო ნიშნები. პროექტი გარდამავალია,ცოცხნარამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციის შემდეგ კი განხორციელდება ქემფერამდე მისასვლელი გზის მოწყობა. სამუშაოები ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის თანადაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 5 მილიონამდე ლარს შეადგენს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

1 სექტემბერს, ადმინისტრაციულ სხდომათა დარბაზში, გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი უძღვებოდა.

სხდომაზე, დეპუტატებმა, აუცილებლობიდან გამომდინარე, ცვლილებები შეიტანეს საკრებულოს მიერ ადრემიღებულ რამდენიმე დადგენილებაში.

ამავე სხდომაზე, მსჯელობის შემდეგ, საკრებულოს წევრებმა თანხმობა მისცეს მუნიციპალიტეტის მერს, სოფელ ბრილში მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოების შესყიდვისა და შესაბამისი გარიგების დადების თაობაზე.

ამის შემდეგ, დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს სს “საქართველოს ბანკისთვის” ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან არასაცხოვრებელი ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ(ბანკომატის განთავსებისათვის).

საკრებულოს წევრებმა დაამტკიცეს 2022 წლის მეოთხე კვარტლის სამუშაო გეგმა.

სხდომაზე,დეპუტატებმა მოისმინეს ანგარიში მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების მიერ 2022 წლის პირველ ნახევარში გაწეული მუშაობის შესახებ, რომელიც შეფასდა დადებითად(ანგარიში იხილეთ II გვერდზე).

სხდომის ბოლოს, საკრებულო გაეცნო მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მმართველის ინფრმაციას, საბავშვო ბაღებში არსებული მდგომარეობის შესახებ.

რა ეტაპზეა ზემო ოსიაური - ჩუმათელეთის გზის მეორე მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები?

აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის შემადგენელი, ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის გზის მეორე მონაკვეთის სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს აღნიშნულ მონაკვეთზე 6.4 კმ-იანი 4 ზოლიანი გზის, 11 ხიდისა და 5 გვირაბის მშენებლობაა გათვალისწინებული. პროექტი მსოფლიო ბანკის 265 მილიონამდე ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება

მოცემულ ეტაპზე სამუშაოები მიმდინარეობს 8 ხიდსა და 5 გვირაბზე, საიდანაც 4 ხიდი უკვე აშენებულია

ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მეორე მონაკვეთი, სურამისა და ჩუმათელეთის გვერდის ავლით რიკოთის მთავარ გვირაბთან გადის. ამ მონაკვეთით ხაშურის შემოვლითი გზა რიკოთის საუღელტეხილო გზას დაუერთდება

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების - მეორადი სტრუქტურული ერთეულის 2022 წლის 6 თვეში გაწეული საქმიანობის ანგარიში

მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილება არის ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ერთ-ერთი განყოფილება. განყოფილების ძირითადი მიზანია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულება.

განყოფილებაში, 2022 წლის დასაწყისისათვის, დასაქმებული იყო 26 საჯარო მოსამსახურე. მათგან 7 პირი დასაქმებული იყო განყოფილებაში შემოსული კორესპონდენციის შესაბამისი ადრესატებისათვის, მათ შორის მერის წარმომადგენლებისათვის გადანაწილებაზე და მერიის პასუხების მომზადებაზე, ხოლო დანარჩენი 19 მოხელე დასაქმებული იყო აღნიშნული წერილების შესრულებაზე ადმინისტრაციულ ერთეულებში. მერიაში განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ, 2022 წლის აპრილიდან, განყოფილების სპეციალისტთა დიდი ნაწილი ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმდა მერიაში მერის წარმომადგენლების დახმარების მიზნით. ადმინისტრაციული ერთეულებს ასევე გადაეცათ საჭირო კომპიუტერული ტექნიკა და ასევე ჩაერთოთ ინტერნეტიც, რამაც მათ წერილების ელექტრონულ ფორმატში შესრულების შესაძლებლობა მისცა,დაიზოგა დრო, რომელიც მათ სჭირდებოდათ პასუხების ხაშურში, მუნიციპალიტეტის მერიის კანცელარიაში წარმოდგენისათვის. ამას გარდა, ადმინისტრაციული ერთეულების სათანადოდ აღჭურვამ მოსახლეობისათვის განცხადებების უშუალოდ ადმინისტრაციულ ერთეულებში,შემოტანის საშუალება შექმნა, ხაშურში ჩამოსვლის გარეშე,რაც მნიშვნელოვანი სიკეთეა განსაკუთრებით მუნიციპალური ცენტრიდან მოშორებული სოფლების მცხოვრებთათვის. უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამის პროგრამაში მუშაობის შესწავლის პროცესში მერის წარმომადგენლებმა და ადმინისტრაციულ ერთეულებში ხელშეკრულებით დასაქმებულმა პირებმა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მიიღეს მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილებისაგან.

მერის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილებაში დღეისათვის დასაქმებულია 6 საჯარო მოხელე. განყოფილების მიზნები იგივე დარჩა. კერძოდ, მერის წარმომადგენელთა მხარდაჭერა მათ საქმიანობაში და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულება.

განყოფილება ზემოთნახსენები მიზნის შესრულებისას ახორციელებდა შემდეგ საქმიანობას:

მერის წარმომადგენელთა ინფორმირება/ მათთან კოორდინირებული ურთიერთობა სხვადასხვა საკითხების მოგვარებისათვის, მათ შორის:

1. მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში, მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების პროცესში და შემდეგ, მიწის სისტემური რეგისტრაციის პროცესში და შესაბამისი პასუხების მომზადება საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის მუნიციპალიტეტის პოზიციის შესახებ კონკრეტული მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით;
2. მოქალაქეთა მიწის (უძრავი ქონების) საკუთრებაში გადაცემის შესახებ არსებული უფლების დამდგენი დოკუმენტების მოძიება (დადგენილება,ოქმი,მიღება-ჩაბარების აქტი და სხვა) ადმინისტრაციული ერთეულებსა და ხაშურის რეგიონული არქივიდან;
3. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირების სტატუსზე მუშაობა (სტატუსის მინიჭებისათვის დოკუმენტაციის მომზადება, სტატუსის მონიტორინგი);
4. ხე მცენარის ადგილწარმოშობის ცნობებზე მუშაობა;
5. მეწყერით დაზიანებულ სახლებზე ინფორმაციის მომზადება და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გადაგზავნა;
6. საშეშე მერქნის სიების დაზუსტება, შუამდგომლობები ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან;
7. სამასალე მერქნის გამოყოფისათვის შუამდგომლობების მომზადება;
8. მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო მიწის მოიჯარეთა შესახებ ინფორმაციის დამუშავება, ანალიზი და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოების და მოიჯარეებისათვის, წერილების მომზადება მიწის ნაკვეთების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენების შესახებ;
9. სოფლის მეურნეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება და დამუშავება, სტატისტიკური ინფორმაციის მოძიება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით. სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის განხორციელებული და მიმდინარე პროექტების და ბენეფიციარების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება;
10. მოქალაქეებიდან და სხვადასხვა უწყებებიდან განყოფილებაში მიღებული წერილების შესწავლა, შუალედური და საბოლოო პასუხების მომზადება.
11. მოქალაქეთა ცხოვრების ფაქტების დადასტურება.

განყოფილების თანამშრომლები 2022 წლის პირველ ნახევარში ასევე ასრულებდნენ შემდეგ ფუნქციებს:

1. მოსახლეობის ინფორმირება ადმინისტრაციულ ერთეულში განსახორციელებელი მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების შესახებ და მათი კომუნიკაციის უზრუნველყოფა საკრებულოსთან და მერიასთან;
2. პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურებისათვის ადგილზე შემოწმება და ადგილზე შემოწმების ოქმის შედგენაში მონაწილეობა;
3. განყოფილების თანამშრომლები ჩართულები იყვნენ დასახლების საერთო კრების მოწვევის პროცესში.

განყოფილების მუშაობის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება იყო „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში, მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელება, კერძოდ მიწის ნაკვეთების იდენტურობის დადასტურება უფლების დოკუმენტთან მიმართებაში, საკარმიდამოდ ან/და საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად მიწის ნაკვეთის გაცემის დადასტურება, მოქალაქეთა მიწის (უძრავი ქონების) საკუთრებაში გადაცემის შესახებ არსებული დოკუმენტების მოძიება და კანონით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება, ,აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, განყოფილება საქმეში ჩაერთო კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან და საკმაოდ დიდი მოცულობის საქმე შეასრულა მერის წარმომადგენლებთან ერთად, რომლებსაც ისევე როგორც განყოფილების თანამშრომლებს, ბრძანებით მიენიჭათ კანონით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის (უფლებამოსილი პირის) სტატუსი და ადგილზე სწავლობდნენ მიწის რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციისა და დოკუმენტების შესაბამისობის შესწავლა კიდევ ერთხელ ხდებოდა მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილებაში, სადაც მზადდებოდა საბოლოო პასუხი და ეგზავნებოდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მუდმივად მიმდინარეობდა კონსულტაციები საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან, განსაკუთრებით კონსულტაციები ინტენსიური გახდა მას შემდეგ, რაც, 2020 წლის იანვრიდან, კანონში შესული შესაბამისი ცვლილების შემდეგ მუნიციპალიტეტი უფლებამოსილი გახდა დაედასტურებინა მიწის ნაკვეთის საკარმიდამოდ/ ან და საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად გაცემა,ამ ცვლილების შემდეგ, მნიშვნელოვნად გართულდა განყოფილებისა და შესაბამისი უფლებამოსილი პირების საქმიანობა, ვინაიდან კანონში შესულმა ცვლილებამ ისეთი მიწების რეგისტრაციის შესაძლებლობა შექმნა, რომელზეც უფლების დოკუმენტი არ იყო გაცემული ან დაკარგული იყო, შესაბამისად, გაიზარდა მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობაც. ყველა შესაძლო გართულების და რეგისტრაციის პროცესში შეცდომების თავიდან აცილების მიზნით, მერიამ რამდენჯერმე მიმართა კონსულტაციისათვის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ასევე ეროვნულ სატყეო სააგენტოს ტყის კონტურთან ზედდებაში არსებულ მიწებთან დაკავშირებით ცნობის გაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე, ტყის კონტურთან ზედდების საკითხი ერთერთი ყველაზე რთული საკითხი იყო აღნიშნული მიწების რეგისტრაციის პროცესში, მერიის პოზიციის მომზადებაში მერის წარმომადგენელთა საქმიანობის განყოფილებისა და ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის გარდა, აქტიურად იყო ჩართული იურიდიული უზრუნველყოფის განყოფილებაც. შესაბამისად, შედეგად მივიღეთ ის, რომ მოქალაქეთა მიერ დაფიქსირებული რამდენიმე პრეტენზიიდან, რომელთაც მომავალში გაგრძელება ჰქონდათ მათ მიერ სასამართლოში მიმართვით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისთვის უარყოფითად დღემდე არცერთი საქმე არ დასრულებულა. თუ გადავხედავთ ბოლო სამი წლის მონაცემებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით განყოფილებაში 2019 წელს შემოსულია 1700 მდე, 2020 -ში 3800-მდე,ხოლო 2021-ში 4500-ზე მეტი წერილი,აღსანიშნავია, რომ კანონში შესული შესაბამისი ცვლილებების შემდეგ მერია 2022 წლის 1 იანვრიდან, არ მონაწილეობს მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადგენისა ანდა მიწის ნაკვეთის საოჯახო მეურნეობის მოსაწყობად გაცემის დადასტურების პროცესში, რის გამოც მნიშვნელოვნად შემცირდა მომართვები, მაგრამ რეგისტრაციის პროცესში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აგზავნის შესაბამის კორესპონდენციას მუნიციპალიტეტის ინფორმირებისა და საჭიროების შემთხვევაში პოზიციის დაფიქსირებისათვის, რაც ასევე დიდ ძალისხმევას მოითხოვს მერიის მოსამსახურეებისაგან შესაბამისად წერილები საჭიროების შემთხვევაში პოზიციის დაფიქსირებისათვის ეგზავნება მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში და ხაშურის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურს მუნიციპალური ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილებაზე გადასაცემად, სულ, 2022 წლის პირველ ექვს თვეში, შემოსულია 131 ასეთი წერილი. 2022 წლის 1 იანვრისთვის, მერიაში, 2021 წლის 400-მდე წერილი იყო დარჩენილი ნაშთის სახით, მათ შორის დაუსრულებელი სახით, რომელთა დიდი ნაწილი იყო ისეთ მიწის ნაკვეთებზე მიმდინარე საქმეები, რომლებიც ფარავდნენ (ზედდება ჰქონდათ) სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს, ანდა რეგისტრირებულ ტყის კონტურებს, შესაბამისად, ეს წერილები, კანონის თანახმად, დაბრუნდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში როგორც დაუსრულებელი, დასრულებული წერილები ასევე გადაიგზავნა სააგენტოში იანვარსა და თებერვალში. 2022 წლის დასაწყისში, მიწის სისტემური რეგისტრაციის დაწყებასთან დაკავშირებით, საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მუნიციპალიტეტების მერიებს მიმართა თხოვნით მათთან დაცული უფლების დოკუმენტების აღწერასა და გადაცემასთან დაკავშირებით. განყოფილების ორგანიზებით,მოხდა აღნიშნული დოკუმენტების აღწერა და შესაბამისი აღწერის მასალები გაიგზავნა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ხოლო მოგვიანებით, რეესტრის მოთხოვნის შესაბამისად, დოკუმენტების დედნები გადაეცა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს არქივის სამსახურს, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა მომართვები უფლების დამდგენი დოკუმენტების გამოთხოვის შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან.

(დასასრული III გვერდზე)

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების - მეორადი სტრუქტურული ერთეულის 2022 წლის 6 თვეში გაწეული საქმიანობის ანგარიში

(დასასრული)

ერთერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელმაც ასევე განყოფილების მოხელეთა დიდი ძალისხმევა მოითხოვა, არის კანონი „მაღალმთიანი რეგიონების შესახებ“, აღნიშნული კანონის ძალაში შესვლის დღიდან 2015 წლის ივლისიდან, მერის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილება აქტიურად ჩაერთო მუნიციპალიტეტისათვის კანონით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელებაში, ჩამოყალიბდა მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭო, რომლის შემადგენლობაში განყოფილების ორი თანამშრომელია, განყოფილებამ მონაწილეობა მიიღო, როგორც ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სოფლებისათვის, რომლებიც აკმაყოფილებდნენ კანონით განსაზღვრულ კრიტერიუმებს, მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მისაღებად სჭირო ინფორმაციის/ დოკუმენტაციის მომზადებაში,ასევე მოქალაქეთათვის სტატუსის პირველადად მინიჭებაში კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად. ხაშურის მუნიციპალიტეტში დღეისათვის 37 მაღალმთიანი სოფელია, სოფლისათვის სტატუსის მინიჭებაზე წარდგენის უფლებამოსილება მთის განვითარების ეროვნული საბჭოსათვის აქვს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, მუნიციპალიტეტს და სახელმწიფო რწმუნებულს. თავდაპირველად, 2016 წლის 1 იანვარს, სტატუსი მიენიჭა 25 სოფელს, შემდეგ, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლებთან გამართული კონსულტაციის საფუძველზე, კიდევ 8 სოფლის წარდგენა მოხდა მთის განვითარების ეროვნული საბჭოსათვის, დამატებით კიდევ ოთხი სოფლის ქვიშხეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების რუსაანთუბნის, ბეღლითის და ბულბულისციხის ,ასევე ცოცხნარის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წაბლოვანას წარდგენა მოხდა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ძალისხმევით მერის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილების მიერ შესაბამისი მონაცემების შესწავლის საფუძველზე. აღსანიშნავია,რომ განყოფილების თანამშრომლებს არაერთხელ მოუწია ზოგიერთი სოფლის მოსახლეობასთან განმარტებების გაკეთება სოფლის მიერ სტატუსის ვერ მიღებასთან დაკავშირებით, მოსახლეობას განემარტა, რომ აღნიშნული ეყრდნობა მთის განვითარების ეროვნული საბჭოს მიერ დადგენილი კრიტერიუმებთან კონკრეტული სოფლის მონაცემების შედარებას. აქვე უნდა ითქვას, რომ გამონაკლისის სახით მერიამ რამდენიმე სოფელთან დაკავშირებით, შუამდგომლობის გაწევის თაობაზე, მიმართა სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას, მათ შორის, როგორც ადმინისტრაციის მოთხოვნის ასევე სოფლის მაცხოვრებელთა თხოვნის საფუძველზე, თუმცა გამონაკლისის დაშვება ისეთი სოფლებისათვის, როგორიცაა ზემო და ქვემო ბროლოსანი, თაგვეთი და მონასტერი დღემდე არ იქნა მიჩნეული მიზანშეწონილად. აღნიშნული სოფლების მოსახლეობისათვის დღესაც აქტუალურია სტატუსის მიღება, თუმცა უნდა ითქვას, რომ დღეს არსებული კრიტერიუმები ამის საშუალებას არ იძლევა, და ამის მიღწევა, ჩვენი აზრით, შესაძლებელია მხოლოდ გამონაკლისის სახით საკმარისი არგუმენტაციის პირობებში.

დღეს, განყოფილების სპეციალისტები ამზადებენ მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრებთა სტატუსის მართვის საბჭოსათვის წარსადგენ დოკუმენტაციას მოქალაქის მიერ განცხადების წარდგენის შემდეგ სტატუსის მინიჭების მიზნით. სამოქალაქო რეესტრის მოთხოვნის საფუძველზე, უწყვეტენ ან უჩერებენ სტატუსს მოქალაქეებს. ასევე, მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილებაა პასუხისმგებელია მოქალაქეთა სტატუსის მონიტორინგის საკითხზე, რომლის საფუძველზეც ხდება მოქალაქისათვის სტატუსის შეწყვეტა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილებაში, 2022 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში, სულ შემოსული და დამუშავებულია 697 განცხადება და წერილი, აქედან, მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის პოზიციისა და კომლის შემადგენლობისა და რიცხული ქონების შესახებ - 511 წერილი, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან სტიქიით დაზიანებული ოჯახების შესახებ - 1 წერილი, ადგილწარმოშობის ცნობის გაცემის შესახებ შემოსულია მოქალაქეთა - 15 განცხადება, ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ - 111 განცხადება,საშეშე მერქნის მიმღებთა სიაში მოქალაქის შეყვანის შესახებ 3 განცხადება, მისამართების იდენტურობის დადგენის შესახებ - 15 განცხადება და - 41 სხვადასხვა წერილი და განცხადება. (სულ განყოფილებაში დამუშავებულმა კორესპონდენციის მთლიანმა რაოდენობამ, შუალედურის ჩათვლით, ამ პერიოდისათვის შეადგინა 3867.

ჩატარდა მაღალმთიან დასახლებებში სტატუსის მართვის საბჭოს 4 სხდომა,სტატუსის მინიჭების თაობაზე განაცხადი შემოიტანა 38 მოქალაქემ, მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრების სტატუსი მიენიჭა 29 მოქალაქეს, მინიჭებაზე უარი ეთქვა 9-ს,ხოლო სტატუსი შეუწყდა 22 მოქალაქეს,მათ ორის მონიტორინგის საფუძველზე 2-ს. სტატუსის შესახებ მომზადდა 31 საინფორმაციო წერილი. მერის წარმომადგენლების მიერ, წლის დასაწყისში, დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად, ჩატარდა 332 მონიტორინგი,მოქალაქეთა სტატუსის გადამოწმების მიზნით. 2022 წლის ივნისის ბოლოსათვის აქტიური სტატუსი ჰქონდა 1913 მოქალაქეს.

ივანე ლოლაძე,
განყოფილების ხელმძღვანელი

სურამში, უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკას სახელობის სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება

პროექტის ფარგლებში განხორციელდა ღობის სრული განახლება, დაიგო ქვაფენილი, დამონტაჟდა დასასვენებელი სკამები, დაიდგა სანაგვე ურნები, გაკეთდა განათება.

„აღნიშნული პროექტის განხორციელება ხელს შეუწყობს როგორც მუზეუმის ტერიტორიის გალამაზებას, ასევე ადგილობრივებისთვის და ვიზიტორებისთვის მეტი სივრცე შეიქმნება გართობისა და დასვენებისთვის“-აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად, ადგილზე იმყოფებოდნენ მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელი გიორგი პაპიაშვილი, მათი განმარტებით, პროექტს მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს და ღირებულება 83 591 ლარს შეადგენს.

სოფელ ვაყის ხიდიდან სოფელ ტკოცამდე გზის რეაბილიტაცია აქტიურად გრძელდება

ამ ეტაპზე, სამუშაოები, პატარა ფლევიდან სოფელ ვაყის ხიდამდე მიმდინარეობს: იხრეშება, სწორდება ტერიტორია და პარალელურად, იგება ასფალტის საფარი. უკვე განხორციელდა ტკოცისა და დიდი ფლევის გზის მოწყობის სამუშაოები.

„ფლევსა და ტკოცაში ასფალტის გზა არასდროს ყოფილა, რაც ადგილობრივი მოსახლეობისთვის პრობლემა იყო, ამჯერად კი გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა მათ საყოფაცხოვრებო პირობებს მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს.“ აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად, მიმდინარე სამუშაოებს ათვალიერებდნენ მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გიორგი პაპიაშვილი, მათი განმარტებით, პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს სანიაღვრე არხების მოწყობა, ასევე, კეთდება საგზაო მონიშვნები.

სამუშაოების მესამე ეტაპის ღირებულება, რომელსაც ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ერთობლივად აფინანსებს, 2 469 997 ლარს შეადგენს.

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20 ,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5, 6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28,29 ,30,31,32)

ბრესტის ციხე-სიმაგრის დაცვისას დაიღუპა კაპიტანი ივანე ალექსის ძე უჩიძე, სევასტოპოლთან დაეცა გრიგოლ ცუცქირიძე, საჰაერო ბრძოლაში დაკეცეს შევარდენის ფრთები უფროსმა ლეიტენენტმა კონსტანტინე ბერაიამ და მფრინავმა-რადისტმა გრიგოლ ღვინჯილიამ, ქერჩის ნახევარკუნძულისთვის გაჩაღებულ გააფთრებულ ბრძოლებში მიიტანეს თავისი სიცოცხლე მამულის სამსხვერპლოზე სიმონ ნოზაძემ, ილია პაპიძემ, ბიძინა ტაგანაშვილმა, ალექსი (ბიჭიკო) ძიძიგურმა, ლენინგრადთან დაეცა მეზენიტე-არტილერისტი ირაკლი გრიგალაშვილი,ესტონეთის მიწამ მიიბარა უმცროსი ლეიტენენტი გიორგი გაჩეჩილაძე, სხვადასხვა ფრონტზე დაეცნენ. ვლადიმერ გელაშვილი, იოსებ თაბუკაშვილი, ალექსანდრე კაკიაშვილი, ნიკოლოზ ლომიძე, აკაკი ალექსანდრე (შურა) ბარბაქაძე, სიმონ ბარბაქაძე, ბეჟან გიორგაძე, მიხეილ ინასარიძე, სერგო გელაშვილი, კონსტანტინე ნოზაძე, გოგი ტაგანაშვილი,შალვა ქიმერიძე და ვალოდია ჩიკვაიძე.

უბანში უგზო-უკვლოდ დაკარგვის ცნობები მიიღეს შალვა გაჩეჩილაძის,სერგო გელაშვილის, გოგია (კრიხა) გოგოლაძის, შოთა გოგოლაძის, გიორგი ერკემლიძის, ძმები თამაზ და გივი ლომსაძეების,ძმები დავით და შალვა ქიმერიძეების,გაბრიელ ქიმერიძის და ალექსანდრე (საშა) ცინაძის ოჯახებმა.

ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ, მიღებული მძიმე ჭრილობებით ხაშურში გარდაიცვალა ავთანდილ კირილეს ძე ჭიპაშვილი.

უბანს ომიდან გამარჯვებულნი დაუბრუნდნენ: პარტიზანული დანაყოფების მეთაური ოთარ ტაგანაშვილი, ბატალიონის კომისარი დავით კაკიაშვილი, მეზენიტე არტილერისტები თამარ მიხეილის ასული პაქსაშვილი და თამარ ალექსანდრეს ასული ტალახაძე-ბარბაქაძისა, ძმები – პოდპოლკოვნიკი სერგო და უფროსი ლეიტენანტი ალექსანდრე გიორგის ძე მღებრიშვილები, კაპიტნები გრიგოლ ბარბაქაძე, გივი დარსაველიძე და სერგო მჭედლიძე, მფრინავი ვლადიმერ ღვინჯილია, უფროსი ლეიტენანტები ვახტანგ გელაშვილი, გიორგი ლობჟანიძე და ილია გოგოლაძე, ლეიტენანტები მიხეილ კაკიაშვილი, გივი წვერიანაშვილი, ტანკისტი მიხეილ რევაზიშვილი, ვასილ ციყელაშვილი, მიხეილ ოყროშიძე, სერჟანტები და რიგითი მებრძოლები: ლევან ივანეს ძე დეკანოიძე, დიმიტრი სტეფანეს ძე მამიაშვილი, დავით სიმონის ძე ბერაია, დიმიტრი თედოს ძე პაპუაშვილი, შალვა ევგენის ძე გელაშვილი, აკაკი პარმენის ძე გრიგალაშვილი, ირაკლი და კარლო გრიგოლის ძე ტაბატაძეები,გიორგი ვასილის ძე ნოზაძე,დავით სიმონის ძე დათიაშვილი, როინ ვასილის ძე ტაგანაშვილი, გუგული რაჟდენის ძე ენჯიბაძე და სხვები.

ძმების – ვლადიმერ და გრიგოლ ღვინჯილიების საბრძოლო გზის შესახებ გაზეთი „გამარჯვების გზა“ 1960 წლის 8 მაისს წერდა:

„მტრის ღრმა ზურგში მორიგი გაფრენის შემდეგ, ვლადიმერმა თავის ოთახისკენ გასწია: ის იყო გაუხდელად მიწვა ლოგინზე,რომ კარზე მორიდებულად ვიღაცამ დააკაკუნა. მფრინავმა კარი გამოაღო.

- ლადო, ვერ მიცანი, ბიჭო? გრიგოლი ვარ.

მოულოდნელობისგან ერთ ადგილზე გახევდა ვლადიმერი, მაგრამ მსწრაფლ მოეგო გონს და სიყვარულით გადაეხვია ოთხი წლის უნახავ ძმას.

...მოსკოვის მახლობლად,მონინოს აეროდრომიდან რამდენიმე დღეს ერთად უხდებოდათ მტრის წინააღმდეგ ბრძოლა ძმებს. უფროსი მთავარსარდლობის შტაბის განსაკუთრებული ესკადრილიის მფრინავი იყო, უმცროსი კი ერთ-ერთი ბომბდამშენის რადისტად მუშაობდა.

ოთხი წლის უნახავი ძმის მოულოდნელმა შეხვედრამ თითქმის ახალი ძალა შემატა ორივეს – გმირულად,ვაჟკაცურად ასრულებდნენ საბრძოლო დავალებებს. ...ომმა მალე გაჰყარა ძმები. ისინი სხვადასხვა ფრონტზე გაგზავნეს და დიდი ომის ორომტრიალში ურთიერთის კვალიც დაკარგეს.

ვლადიმერმა მხოლოდ გვიან შეიტყო ბელორუსიის ფრონტზე მტრის წინააღმდეგ ერთ-ერთ ბრძოლაში უმცროსი ძმის გმირულად დაღუპვის ამბავი.

...ომი ახალი დაწყებული იყო. მტრის ობიექტების ასაფეთქებლად იმ ღამეს მეორედ გაეშურა ღვინჯილია. ოპერაცია წარმატებით დაამთავრა და უკან ბრუნდებოდა,რომ მის ბომბდამშენს სამი „მესერშმიდტი“ დაედევნა. უბრძოლველად დანებების მოთხოვნა ანიშნეს ფაშისტებმა. ვლადიმერმა მსწრაფლ შეიმუშავა მოქმედების გეგმა და ეკიპაჟს გადახედა. მალე უთანასწორო ბრძოლაში ჩაებნენ. ღვინჯილიამ თავისი გაბედული ნაბიჯით დააბნია მტერი, რომლითაც კარგად ისარგებლეს საბჭოთა მფრინავებმა და ერთი ცეცხლმოკიდებული „მესერი“ მიწას დაენარცხა.

დაზარალებულმა ფაშისტებმა მალე ბომბდამშენს ზურგი უჩვენეს.

არც ვლადიმერის გუნდი გადარჩა უვნებელი. ეკიპაჟის ოთხი წევრი მტერთან უთანაწორო ბრძოლაში მამაცთა სიკვდილით დაიღუპა. თვითონ მეთაური სახის არეში და ფერდში მძიმედ დაიჭრა. მიუხედავად ამისა ვლადიმერმა მანქანა აეროდრომზე უვნებლად დაუშვა.

ბევრი ასეთი ბრძოლა გადახდენია ღვინჯილიას. სამამულო ომში 200-ზე მეტ საბრძოლო გაფრენაში მიიღო მონაწილეობა. მტერს ებრძოდა სტალინგრადთან, ლენინგრადთან, ვარშავასთან, ბერლინთან, ბოლოს იგი მთავარსარდლობის შტაბის განსაკუთრებული ესკადრილიის მეთაური გახდა.

ფაშისტური გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ ლადო თავისი შევარდენებით იაპონელთა წინააღმდეგ ომში მონაწილეობს – ბომბავს ხაილარის სიმაგრეებს, ანადგურებს სამურაებს ხარბინის ბრძოლებში.

მტრის წინააღმდეგ ვაჟკაცური, გმირული ბრძოლისთვის ღვინჯილია დაჯილდოებულ იქნა წითელი ვარსკვლავის ორი ორდენით სამამულო ომის II ხარისხის ორდენით, მედლებით „კავკასიის დაცვისთვის“, სტალინგრადის, კენისბერგის, ბერლინის აღებისთვის და სხვა. მან უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის ოთხი პირადი მადლობა დაიმსახურა“.

სამი ძმა – ვანო, ალექსანდრე და სამსონ თომაძეები ფაშიზმს სხვადასხვა ფრონტზე ებრძოდნენ.

ნაწილი,რომელშიც სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადიოდა ხაშურელი ჭაბუკი ვანო თომაძე, პოლონეთის საღვართან იდგა. ომის პირველსავე საათზე ისინი მკერდით შეეგებნენ მომხდურთ. შემდეგ ჯარისკაცმა მძიმე გზა განვლო. იცავდა მოსკოვს, იგემა მტრისგან დროებით ოკუპირებული ქალაქების გათავისუფლების დიდი სიხარული. 1945 წლის 9 მაისი კი ტანკისტმა ვანო თომაძემ ბერლინში იზეიმა. მკერდზე წითელი ვარსკვლავის ორდენი, მედლები „მოსკოვის დაცვისთვის“ „კენინსბერგის აღებისთვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისთვის“ და უმაღლესი მთავარსარდლის ი. სტალინის მადლობები ახსენებდნენ ომგადახდილს მზედრულ გზასა და ვალს, რომელიც მან პირნათლად მოიხადა.

მეორე ძმა – ალექსანდრე კავკასიის მისადგომებთან გაჩაღებულ სამკვდრო-საციცოცხლო ბრძოლაში იცავდა სამშობლოს თავისუფლებას. შემდეგ იყო მდინარე დნეპრის გადალახვა და მტრის უკუქცევა... რუმინეთის გათავისუფლებისთვის ბრძოლაში დაიჭრა, განკურნების შემდეგ, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის გათავისუფლებისთვის გაჩაღებულ ბრძოლებში ჩაება. პრაღისთვის გააფთრებული ბრძოლის დროს კვლავ მოძებნა მტრის ტყვიამ და ჰოსპიტალში მოუწია მკურნალობა. სწორედ აქ,გროზნოს ჰოსპიტალში, შეეგება 9 მაისის ლამაზ დილას.

უმცროსმა ძმამ,სამსონ თომაძემ,მხედრული ფარაჯა 1943 წლის იანვარში ჩაიცვა. საბრძოლო მომზადების შემდეგ პირველი საბრძოლო ნათლობა ნიკოლაევთან მიიღო. მონაწილეობდა მდინარე დნეპრის გადალახვის მძიმე ოპერაციაში, ლვოვის გათავისუფლებაში, ბესარაბიის გათავისუფლებაში, ბუქარესტის, პლოკშატის, სუჩავასთან გაჩაღებულ ბრძოლებში. უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტისთვის თვენახევრის გააფთრებული შერკინება ფაშისტთა განადგურებით დამთავრდა. სწორედ აქ შეეგება იგი გამარჯვების დღესასწაულს. ოთხი საბრძოლო მედალი და უმაღლესი მთავარსარდლის შვიდი მადლობა დაიმსახურა. ორი წლის მანძილზე იგი მტრისგან განადგურებულ ქალაქების აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობდა და მშობლიურ კერას მხოლოდ 1947 წელს დაუბრუნდა.

თომაძეთა უფროსი ძმა – მიხეილი ზურგში, ხაშურის სავაგონო დეპოში შრომობდა და აქ ჭედდა მტერზე გამარჯვებას.

ცალკე უნდა შევეხოთ ხაშურელ მფრინავთა გმირობას სამამულო ომში. უნდა შევნიშნოთ,რომ ბევრი მათგანი ხაშურის აეროკლუბის მომზადებული იყო. აეროკლუბი ომის დაწყებამდე გაიხსნა ხაშურში და მას არაერთმა ახალგაზრდამ დაუკავშირა თავისი მომავალი.

1938 წელს კლუბს უნდა გამოეშვა 48 მფრინავი. უკვე აგვისტოსთვის 43 კურსანტი აწარმოებდა დამოუკიდებელ ფრენას.

„კომკავშირელი ვაჟები, - ნათქვამია გაზეთში „ბოლშევიკური სიტყვა“ - ხომასურიძე, გრძელიშვილი, მჭედლიძე, გელაშვილი, ბუხაშვილი, კრივაშაევი, ირემაძე და სხვები საუკეთესოდ ეუფლებიან თვითმფრინავის მართვას. ასევე მოწინავენი არიან კომკავშირელი ქალები ბუზიაშვილი და ხვედელიძე, აგრეთვე კავშირგარეშე ახალგაზრდა რაისა ხაჩატუროვა“.

მფრინავების მომზადებას ხელმძღვანელობდნენ ინსტრუქტორები ნიკო ორაგველიძე, გაბიევი, დუბროვსკი, მეშერიაკოვი. მათთან ერთად მფრინავების მოზადებაში მონაწილეობდნენ კლუბის აღმზრდელები: ფცქიალაძე და აბრამაშვილი, რომლებიც ეხმარებოდნენ ინსტრუქტორებს კურსანტებთან მუშაობაში.

ადგილობრივმა გაზეთმა,- „ბოლშევიკური სიტყვა“,- 1942 წლის 14 ივნისს გამოაქვეყნა წერილი „იმარჯვებენ არა რიცხვით, არამედ უნარით“, რომელშიც მოთხრობილია საბჭოთა მფრინავების გმირობაზე. წერილში ნათქვამია, რომ „დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედი წითელი არმიის № ნაწილის გაზეთში მოთხრობილია საბჭოთა მფრინავების თავგანწირულ ბრძოლაზე ჰიტლერული სვავების წინააღმდეგ კაპიტანი უსტინოვი, უფროსი ლეიტენენტი კირილოვი, ლეიტენენტები ვეშაპიძე, მოკრიანსკი, ლევიტანი, გულიაევი და სერჟანტი სტეპიჩევი გვიამბობენ იმ ბრძოლაზე, როდესაც ისინი, 7 საბჭოთა მფრინავი-გამანადგურებელი, შეებნენ ფაშისტთა 24 თვითმფრინავს.

ეს ასე მოხდა: საბჭოთა მფრინავთა ჯგუფს, რომელიც კაპიტან უსტინოვის მეთაურობით დაზვერვაზე გაფრინდა, „ბ“ პუნქტთან შეხვდა ორი „ME-109”, რომლებიც უეცრად გამოჩნდნენ, ლეიტენენტები ლევიტანი და სერჟანტი სტეპიჩევი, პირველნი შეეგებნენ ფაშისტ სვავებს, მაგრამ ფაშისტებმა ბრძოლა არ მიიღეს და მოჰკურცხლეს. სოფელ №-ის თავზე ჩვენს ავიაგამანადგურებელს შეება მტრის 10 თვითმფრინავი „МАККИ С -200“ საბჭოთა მფრინავებმა გაბედული იერიშით სწრაფად არიეს მტრის საბრძოლო მწყობრი. რიცხობრივად ჭარბ მტერს კიდევ 12 თვითმფრინავი „ME-109” შეემატა. ამის მიუხედავად,უშიშარმა საბჭოთა მფრინავებმა ბრძოლა გაუმართეს მათ 2500 მეტრის სიმაღლეზე. ბრძოლა 35 წუთს გრძელდებოდა. მრავალ ეშმაკობას მიმართეს ფაშისტებმა, მაგრამ არ გაუვიდათ. ბრძოლის მეოცე წუთზე კაპიტანმა უსტინოვმა საბრძოლო ანგარიში გახსნა – მარჯვე სროლით ჩამოაგდო „ МАККИ С -200” მალე ანგარიში გახსნა ლეიტენანტმა ვეშაპიძემ, რომელმაც მოკლე ჯერით ჩამოაგდო მეორე საჰაერო ყაჩაღი. გააფთრებულ ბრძოლაში სერჟანტ სტეპიჩევის თვითმფრინავს მარცხენა შასი გაუტყდა. ფაშისტებმა დაინახეს ეს და გადაწყვიტეს, მარწუხებში მოექციათ სტეპიჩევი. ამ დროს სტეპიჩევს კაპიტანი უსტინოვი მიეშველა და ფაშისტები ვერაფერს გახდნენ. ამიტომ იყო, რომ დამფრთხალნი გაიძურწნენ დასავლეთისკენ.

ბრძოლა ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა,- წერენ გმირი მფრინავები,- ფაშისტთა 2 თვითმფრინავი მოვსპეთ,24 კი გავაქციეთ. ბრძოლის ბედი ჩვენმა ორგანიზებულობამ, დისციპლინამ,ურთიერთმიშველებამ გადაწყვიტა. ასე და უფრო თავგანწირულად და ოსტატურად ვიბრძოლებთ მუდამ – პირობას იძლევიან ისინი. 24 ფაშისტი ყაჩაღის წინააღმდეგ 7 ავიაგამანადგურებლის ბრძოლის მონაწილე ლეიტენანტი ვეშაპიძე ხაშურელია. ბესარიონ ვეშაპიძე დაბადებულია 1921 წელს. სწავლობდა ხაშურის პირველ საშუალო სკოლაში,სწავლასთან ერთად აეროკლუბშიც დადიდა, თვითმფრინავს ეუფლებოდა,1938 წელს კი რუსეთის ერთ-ერთ საავიაციო სკოლაში შევიდა. ეს სკოლა 1940 წელს დაამთავრა და მიიღო ლეიტენანტის წოდება.

„ახლა ბესარიონი ფრონტზეა,ისევ მრისხანე გამანადგურებელ თვითმფრინავზე და სიცოცხლეს არ ზოგავს სარდლობის საბრძოლო დავალებათა შესასრულებლად“ - წერდა გაზეთი წერილის დასასრულს.

ბესარიონ ვეშაპიძე ერთ-ერთ ბრძოლაში გმირულად დაიღუპა.

ხაშურელი იური ჩიკინი ერთ-ერთ საავიაციო ნაწილში მსახურობდა. 1942 წლის 9 ოქტომბერს ოჯახში დედისადმი გამოგზავნილ წერილში წერდა: „მე კარგად ვარ. ჩემთვის ნუ შეწუხდები. ვიმყოფები ისევ ძველ ადგილზე, საიდანაც შესანიშნავად ვურტყამთ ფრიცებს. მესამე თვეა ისინი წინ ვეღარ მოიწევენ და მხოლოდ ფაშისტთა უამრავ გვამებს და ტექნიკას სტოვებენ ჩვენს მიწაზე. რა თქმა უნდა, მეც ფრიადზე ვმუშაობ. ჰაერიდან მე უკვე მოვსპე მტრის 15 ტანკი, 40 ავტომანქანა, 300 ფრიცი და სხვა. ზამთარი დგება. კარგი დღე არ მოელის გერმანელ დამპყრობელთ. საჰაერო ბრძოლებში მარცხენა ხელში დავიჭერი და ცოტა დავისვენე. ახლა ისევ დავფრინავ და დაუზოგავად ვულეტ ჰიტლერულ ყაჩაღებს. მე წარდგენილი ვარ მთავრობის ჯილდოზე. გკოცნი ბევრს. შენი შვილი იური ჩიკინი“.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

დაბა სურამში, რკინის წყლის მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს

“პროექტი ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე ხორციელდება. გარდა ამისა, რეაბილიტაციის გეგმას დაემატა



დასასვენებელი სკამების მონტაჟი. ეს ადგილი სურამის სავიზიტო ბარათია, ამიტომაც მიმდინარე სამუშაოებს განსაკუთრებულ ზედამხედველობას ვუწევთ “ - აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

მერთან ერთად, სამუშაოებს მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გიორგი პაპიაშვილი გაეცნენ.

მათი განმარტებით, პროექტს მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს და სამუშაოების ღირებულება 77 936 ლარს შეადგენს.

დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის უახლეს ისტორიას ერთი საინტერესო ფურცელი შეემატა

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და კულტურის სამსახურის ხელშეწყობით, შესაძლებელი გახდა, ქვიშხეთში ჩატარებულიყო ახალგაზრდების თაკო შუკაკიძის და შიო ლალუაშვილის მიერ დაგეგმილი პროექტი “მწერლობა, როგორც გამოცდილება”.

ამ ღონისძიებაზე დასასწრებად მოსული საზოგადოება მეტად საინტერესო ავტორებს შეხვდა: დიანა ანფიმიადი, ზურა ჯიშკარიანი, ნატალია ტროხიმი, გიო ლომიძე. თორნიკე სიბაშვილი, სოფო დუმბაძე, ივა ფეზუაშვილი, ცოტნე აფსაჯანიშვილი. ტრადიცია გრძელდება! იმედია, მსგავსი შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება, რაც სახლ-მუზეუმს ახალ სიცოცხლეს შესძენს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, 9 აპრილის ქუჩაზე, სკვერის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

პროექტის ფარგლებში, მოეწყობა თანამედროვე ტიპის დასასვენებელი სივრცე. სამუშაოების ღირებულება 265 139 ლარს შეადგენს და მთლიანად ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებს.

„დაბა სურამში, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება, ამ ეტაპზეც ეწყობა დასასვენებელი სივრცე სადაც სხვადასხვა სამუშაოებთან ერთად, განხორციელდება გამწვანების სამუშაოები. სულ ახლახანს, 9 აპრილის ქუჩაზე მოეწყო მინი სტადიონი, მიმდინარეობს ლესია უკრაინკას სახელობის სკვერის რეაბილიტაცია, რაგბის მოედნის მოწყობა, ბაიანთხევის დასახლებაში ბეტონის გზის სანიაღვრე არხების მოწყობა, რკინის წყლის ტერიტორიის მოწყობა, სურამულას კალაპოტის წმენდა. აღსანიშნავია, რომ მომავალი წლიდან, ჩუმათელეთის დასახლებაში დაგეგმილია ორი ჭაბურღილის მშენებლობა, რაც წყლის პრობლემას მოუგვარებს როგორც ჩუმათელეთის, ასევე იტრიის მცხოვრებლებს.

ეტაპობრივად, დაბა სურამის მიმართულებით, არაერთი პროექტი განხორციელდება, რაც მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი იქნება და ხელს შეუწყობს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას.“- აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

საკონსულტაციო შეხვედრა სისტემური რეგისტრაციის საკითხებზე

ხაშურში, კულტურისა და დასვენების პარკში, 31 აგვისტოს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა, რეესტრის ორგანიზაციული უზრუნველყოფის

განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა ნუკი სიკინჭილაშვილმა და ტექნიკური სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ლუკა მოდებაძემ მიწის სისტემური რეგისტრაციის საკითხებზე, მოქალაქეთათვის საკონსულტაციო შეხვედრა გამართეს. მიზანი, მიწის სისტემური რეგისტრაციის სახელმწიფო რეფორმის გაცნობა იყო. კერძოდ, სისტემური რეგისტრაციის გეოგრაფიულ არეალად 59 მუნიციპალიტეტი განისაზღვრა. 2022 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, საქართველოს ტერიტორიის (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა) 1/3 ნაწილი ჯერ კიდევ არ არის რეგისტრირებული, ან რეგისტრირებული მონაცემი ცვლილებას საჭიროებს. მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო კერძო, სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს სრულად აზომავს, დაარეგისტრირებს და მონაცემთა ერთიან ბაზას შექმნის. სისტემური რეგისტრაციის რეფორმის დასრულების თარიღად განსაზღვრულია 2025 წლის პირველი იანვარი.

„კონსულტაციის დღე შენს მუნიციპალიტეტში“ – საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სამართლებრივი კონსულტაცია გაუწიეს, სახელმწიფო რეფორმის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს და შეკითხვებს უპასუხეს.

შეხვედრაში აქტიურად იყვნენ ჩართულები, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლები და მერის წარმომადგენლები, ადმინისტრაციულ ერთეულებში.

- თანასწორობა -

ქალბატონები, რომლებიც მშვენიერებას ქმნიან და გარშემომყოფთ სიცოცხლეს ულამაზებენ

კიდევ ორი ახალი საწარმო ხაშურში. ორი ქალის ახალი ცხოვრება და გზა დიდი წარმატებისკენ! ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ჩვენი სახელმწიფოს პრიორიტეტია და პირდაპირ არის დაკავშირებული გენდერული უთანასწორობის და მისი ყველაზე სერიოზული შედეგის- ქალთა მიმართ ძალადობის დაძლევასთან. „აწარმოე საქართველოში" პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით შეიქმნა და 2015 წლიდან 2021 წლის ჩათვლით, მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშემწყობი საგრანტო პროგრამის ფარგლებში, 6 901 პროექტი დააფინანსა, მათ შორის, ხაშურიდან ორი გამარჯვებული ქალი გამოვლინდა, რომელთა ისტორიებს ჩვენს რუბრიკას დავუთმობთ.

ხათუნა ჩიტაძე - 9-ე საჯარო სკოლის ხელოვნების მასწავლებელი, 5 შვილის

დედა, მწერალთა კავშირის და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი აკადემიის, აგერთვე, ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრი, თვითნასწავლი მხატვარი, მინიჭებული აქვს მხატვართა კავშირის ოსტატის წოდება. ჰქონდა შერეული, ასევე პერსონალური გამოფენები. მონაწილეობს ფესტივალებში, საქველმოქმედო აქციებში. წერს ლექსებს, არის 7 წიგნის ავტორი. მრავალი წელია ემსახურება საყვარელ პროფესიას- ახალგაზრდებს ასწავლის ხელგარჯილობას: ქარგვა, კერვა, ქსოვა, მაკრამე და სხვა. ერთად კერავენ ხელჩანთებს, პირბადეებს, ქარგავენ სხვადასხვა აქსესუარებს: საყელოებს,ჩანთებს ჩაის ტილოებს,ხელსახოცებს, ქსოვენ ყაისნაღით, ხატავენ ტექსტილის საღებავებით ქსოვილზე.

პანდემიის პერიოდში,საკუთარი სურვილითა და სახსრებით,შეკერა და საჩუქრად დაარიგა 2000-ზე მეტი პირბადე. ხაშურის საზღვრისპირა სოფელ ჩორჩანის ქალებს სრულიად უსასყიდლოდ ჩაუტარა მასტერკლასები კერვის ხაზით (თეთრეულის-ჭრა-კერვა,ასევე სხვადასხვა სახის პირბადეების დამზადება). სწორედ მაშინ გაჩნდა პროექტის იდეა. პრიორიტეტადაც ეს აირჩია - საზღვრისპირა და სოციალურად დაუცველი ქალების დასაქმება.

მრავალწლიანი გამოცდილება,ორიგინალური იდეა, მოთხოვნილ კრიტერიუმებთან შესაბამისობა და სწორი მარკეტინგული გათვლა გახდა პროექტის გამარჯვების წინაპირობა.

ქალაქის ცენტრში აპირებს გახსნას სამკერვალო სახელოსნო ახალგაზრდა ქალებისა და გოგონებისათვის.

- საზღვრისპირა ქალებთან ურთიერთობამ მომცა მოტივაცია, მათთვის გადამეცა ჩემი ცოდნა, საფუძვლიანად შემესწავლებინა ჭრა-კერვა, ხელსაქმე, რათა მათ საკუთარი ხელით შექმნან პროდუქცია, გაუჩნდეთ შემოსავლის წყარო და უფრო დამოუკიდებლად, თავდაჯერებულად იგრძნონ თავი.

ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გავიმარჯვე, მადლობა ჩემი ქვეყნის მთავრობას, რომ

მომცა შესაძლებლობა ახალი საქმიანობის წამოწყებისა,განსაკუთრებული მადლობა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარეს ნინო ლიპარტელიანსა და საკრებულოს წევრს მაკა დიდებულიძეს, რომლებმაც მომცეს მოტივაცია,საყვარელი საქმე მექცია შემოსავლიან საქმიანობად. მე მჯერა, რომ ჩვენი პროექტი გაამართლებს მიზანს და ბევრ ქალს გაუჩნდება საკუთარი საქმის წამოწყების მოტივაცია, რადგან ძლიერი ქალი- ძლიერი სახელმწიფოს საწინდარია! ..

***

ქეთი გიგოლაშვილი

„აწარმოე საქართველოს" კიდევ ერთი გამარჯვებული ქეთი გიგოლაშვილი გვიამბობს საკუთარი წარმატების ისტორიას:

- ვცხოვორბ სოფელ წრომში. ეს სოფელი მსოფლიოში ცნობილია წრომის ტაძარით, რომელიც 626-635 წლებშია აგებული და ერთ- ერთი გამორჩეული ძეგლია თავისი ისტორიით და არქიტექტურით.

სოფლად ცხოვრება ბევრ სირთულეს გვიქმნის ახალგაზრდებს. მინდა, შევცვალო ის ერთფეროვანი გარემო, რომელშიც გვიწევს ცხოვრება და მინდა სოფელში დავაარსო სახელოსნო. ბავშვობიდან ვკერავ, ვაკეთებ ხელნაკეთ ნივთებს, ვაფერადებ ორნამენტებით და ახალ სიცოცხლეს ვძენ ძველ ნივთებს. სამკერვალო სახელოსნოში ტრადიციული და თანამედროვე ელემენტების შერწყმით მინდა შევკერო ტანსაცმელი, აღვადგინო ძველი ორნამენტები და ნაქარგობების სახით გადავიტანო თანამედროვე სამოსზე, ხელჩანთებზე. ასევე მსურს შეიკეროს სასულიერო პირთა სამოსი (კაბები) და საეკლესიო შესამოსელი (სამღვდლო და სადიაკვნო შესამოსლები, სტიქრები),რომლის კერვაც შევისწავლე მონასტერში. აგრეთვე,ქართული ტრადიციული სამოსი: ყაბალახები, ჩოხები, კაბები, ჩიხტიკოპები, ჩანთები.

ჩავატარე მცირე კვლევა, გამოვკითხე მოსახლეობის ნაწილი და გამოიკვეთა, რომ ამ მიმართულებით ხაშურში არც ერთი სამკერვალო არ მუშაობს.

გარდა ამისა ვმუშაობ პოლიმერულ თიხაზე,ვამზადებ ჭიქებს,დეკორატიულ ნივთებს, სამკაულებს, აქსესუარებს, რომლის რეალიზაცია დავიწყე სოციალური სივრცით. რამდენჯერმე მივიღე მონაწილეობა გამოფენა - გაყიდვაშიც, რამაც შესაძლებლობა მომცა ჩემი ნამუშევრები ფართო სპექტრისთვის გამეცნო.

სამკერვალოსთან ერთად, მინდა გავხსნა უფასო სახელოვნებო წრე ბავშვებისა და მოყვარულებისათვის,სახელწოდებით „ხელსაქნარი",სადაც, სხვადასხვა ხელსაქმესთან ერთად, შეისწავლიან ტრადიციული ხელსაქმის ისტორიას. სახელოსნოში გამოვყოფთ სივრცეს, სადაც მოეწყობა ბავშვებს მიერ დამზადებული ნაკეთობები და შეკერილი ნაწარმის გამოფენა - გაყიდვა.

ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით, ფართი იჯარით გამოყოფილია წრომის ადმინისტრაციულ შენობაში.

ჩავატარე გამოკითხვა წრომისა და მეზობელი სოფლების მიწობის, ხცისის, ახალშენის მოსახლეობასთან. ისურვებდნენ თუ არა სამკერვალო ატელიეს არსებობას სოფელ წრომში, რაზეც გამოკითხულთა უმრავლესობამ უპასუხა, რომ ადგილზე, დროის და ტრანსპორტის ხარჯის დაზოგვით, ურჩევნია ისარგებლონ ადგილზე სამკერვალოს მომსახურებით.

დიდი მადლობა ხაშურის გენდერული თანასწორობის საბჭოს,მათი მხრიდან ჩემი მცირე ხელსაქმის შეფასება და დაფასება დიდი სტიმული იყო, რამაც მიბიძგა რომ უფრო გამეღრმავებინა ცოდნა და ახალ ეტაპზე გადავსულიყავი. მადლობა ნდობისთვის „აწარმოე საქართველოს" მენეჯმენტს. ვეცდები, ნდობა გავამართლო.

ი. გოგიტაური

D წმინდა ნინოს ქუჩის უახლოესი მეზობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საუკეთესო, კეთილი პიროვნება

გიორგი (გოგი) ხარებაშვილი

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ და ვუსამძიმრებთ განსვენებულის ოჯახს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე". დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.